

**პირველი ყოველწლიური ანგარიში
საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან
დაკავშირებით არსებულ ვითარებაზე**

(1 მაისი, 2014 – 1 მაისი, 2015)

1. ყოველწლიური ანგარიშის მომზადება

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის დებულების“ (დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №344/№01-30/ნ/№147 ერთობლივი ბრძანებით) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის ვალდებულებას, გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაზე.

პირველი ყოველწლიური ანგარიში ფარავს პერიოდს 2014 წლის 1 მაისიდან („ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის თარიღი) 2015 წლის 1 მაისამდე.

2. სახელმწიფო კომისიის საქმიანობა

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6-7 მუხლები და „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №344/№01-30/ნ/№147 ერთობლივი ბრძანება

(შემდეგში - ერთობლივი ბრძანება) განსაზღვრავს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის (შემდეგში - სახელმწიფო კომისია) შექმნის, შემადგენლობისა და საქმიანობის წესს.

სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. აგრეთვე, ერთობლივი ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული კომისიის წევრთა გარდა, სახელმწიფო კომისიის შეხვედრებს, საჭიროებიდან გამომდინარე და კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, ესწრებიან შესაბამისი სპეციალისტები; მათ შორის, უზრუნველყოფილია არასამთავრობო სექტორის ჩართულობა სახელმწიფო კომისიის საქმიანობაში.

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის დებულების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომისია იკრიბება სისტემატურად, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ. „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში, სახელმწიფო კომისიის სამდივნოს ორგანიზებით, გაიმართა 12 შეხვედრა, რაც ნიშნავს, რომ 2014 წლის 1 მაისიდან ყოველთვიურად, სისტემატურად ტარდებოდა შეხვედრები. გაფორმებულია შესაბამისი ოქმები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ახალი კანონმდებლობის იმპლემენტაციის, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ტენდენციებისა და მთავრობისთვის წარსადგენი წინადადებების შესახებ დისკუსიის გამართვა და შესაბამისი გამოწვევებზე რეაგირება.

სახელმწიფო კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ფარგლებში, სახელმწიფო კომისიის შექმნის, შემადგენლობისა და საქმიანობის წესის, შეხვედრების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, და შესაბამისი აუდიო-ვიდეო მასალა მუდმივ რეჟიმში ახლდება და ხელმისაწვდომია შსს ოფიციალურ საიტზე (police.ge) შექმნილ ნარკოპოლიტიკის ახალ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო კომისიის გრაფაში. საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების კონტექსტში ნიშანდობლივია სახელმწიფო კომისიის მერვე შეხვედრა (13.01.2015), სადაც მოეწყო კომისიის 2014 წლის საქმიანობის პრეზენტაცია; და ასევე, მეთორმეტე შეხვედრა (01.05.2015), სადაც შეჯამდა „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის შედეგები. შესაბამისი ინფორმაცია და მონაცემები უფრო დეტალურად ასახულია საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით


არსებულ ვითარებაზე მესამე და მეოთხე ყოველკვარტალურ ანგარიშებში და ასევე, ხელმისაწვდომია ნარკოპოლიტიკის ახალ ვებ-გვერდზე.

3. ქვეყანაში არსებული ვითარება კანონის მიღების შემდეგ


➤ **ზოგადი ანალიზი:**

2014 წლის 1 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“. ახალმა კანონმა სამართლებრივ რეგულირებას დაუქვემდებარა ე.წ. „ბიოები“ და „სპაისები“, რაც მანამდე უკონტროლოდ შემოედინებოდა საქართველოში და ქვეყნისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. კანონი მიღებულ იქნა შსს-ს ავტორობით და ოთხი ევროპული ქვეყნის გამოცდილების გაზიარებით. კანონი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ქიმიურ ნაერთთა კლასების კრიმინალიზაციას.

ახალი კანონი ეფექტური აღმოჩნდა რამდენიმე მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, ნიშანდობლივია მოხმარების კლების შთამბეჭდავი ტენდენცია. კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის თავზე დაფიქსირდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამოვლენის მნიშვნელოვანი, 90%-ზე მეტი კლება.



რაც შეეხება დასახელებული საანგარიშო პერიოდის კლების მაჩვენებლის ყოველთვიური დინამიკას:



ასევე, არ ფიქსირდება აღნიშნული ნარკოტიკით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევები და მინიმუმამდღა დაყვანილი „ბიონარკოტიკით“ გამოწვეული ჩივილებით სამედიცინო დაწესებულებებისადმი მიმართვიანობა.

კანონის საფუძველზე მოხდა ამ ნივთიერებებთან დაკავშირებული მუდმივი მონიტორინგის სისტემის ინსტიტუციონალიზაცია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის სახით, რომელიც აერთიანებს რელევანტურ უწყებებს, იკრიბება ყოველთვიურად და ახდენს კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებას, რეაგირებს ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე, უზრუნველყოფს კანონის ეფექტურ აღსრულებას, ასევე, ახალი ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული ვითარების რეგულირების პროცესში, რეკომენდაციებს უწევს საქართველოს მთავრობას საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების საჭიროებისას.

კანონის იმპლემენტაციის პროცესში, სხვა საკითხებთან ერთად, აღსანიშნავია სახელმწიფო კომისიის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მარეგულირებელი ჩარჩოს შემდგომ დახვეწას. აგრეთვე, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც ამარტივებს კომპეტენტურ

უწყებებს შორის ინფორმაციის სწრაფ გაზიარებას და მათ კოორდინირებულ საქმიანობას, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების რეგულირების პროცესში. მონაცემთა ბაზაზე წვდომის მოხერხებული, ონლაინ სისტემა ფუნქციონირებს ნარკოპოლიტიკის ვებ-გვერდზე, სახელმწიფო კომისიის გრაფის ქვეშ. ამასთან, იმპლემენტაციის პროცესის ეფექტურობაზე მეტყველებს სამართალდამცავი უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და მათ მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები (იხ. ქვემოთ).

აგრეთვე, პრევენციის მიმართულებით, დაიგეგმა და განხორციელდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების რეგულირების სამართლებრივი ჩარჩოსა და მისი ავადმომარების მავნე შედეგების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები; მათ შორის ნიშანდობლივია ფართომასშტაბიანი ანტინარკოტიკული კამპანია: „არა ბიონარკოტიკს - ერთად შეცვალოთ დამოკიდებულება“. ამ კამპანიამ საქართველოს მოსახლეობის ყველა სეგმენტამდე მიიტანა სახელმწიფოს ძირითადი გზავნილები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებამდე, რომელიც წარმოადგენს ამ მხრივ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს. აღნიშნული ღონისძიებების შედეგი კი აისახა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამოვლენის მნიშვნელოვანი, 90%-ზე მეტი კვების ტენდენციაზე.

პრევენციის კონტექსტში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებას ამყარებს სახელმწიფო კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობა და ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობა. ამ მხრივ ნიშანდობლივია შსს ოფიციალურ საიტზე ნარკოპოლიტიკის გვერდის შექმნა, გვერდზე ინფორმაციის, სტატისტიკური მონაცემების და ანგარიშების სისტემატური ასახვა, მათ შორის ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, მასმედიის საშუალებებით სახელმწიფო კომისიის სხდომების პერმანენტული გაშუქება. ამგვარად, სახელმწიფო კომისია აგრეთვე უზრუნველყოფს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ფუნქციის შესრულებას.

სახელმწიფო კომისიის საქმიანობის ფორმატში აგრეთვე სათანადო ყურადღება ეთმობა თანამშრომლობას არასამთავრობო სექტორთან; თანამშრომლობას უცხოელ პარტნიორებთან, მათ შორის ინფორმაციის გაზიარებასა და ქართული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას საერთაშორისო დონეზე. თანამშრომლობის კუთხით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო საბჭოსგან (International Narcotics Control Board) ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ სპეციალური გაფრთხილებების მიღება და მათი კოორდინაცია შიდა დონეზე; და EMCDDA-ის ორგანიზებით, 2015 წლის აპრილში საქართველოში ჩატარებული რეგიონული ღონისძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მონიტორინგისა და კონტროლის თემატიკაზე.

ამრიგად, „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან ერთი წლის თავზე არსებული მონაცემებისა და ამ პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების ფონზე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების წინააღმდეგ მიმართული კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკა, მათ შორის, საკანონმდებლო ინიციატივები და მათ აღსასრულებლად განხორციელებული ღონისძიებები, საზედამხედველო მექანიზმის არსებობა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული საქმიანობა, პრევენციული ღონისძიებები და ანტინარკოტიკული კამპანია: „არა ბიონარკოტიკს - ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“ - ეფექტური აღმოჩნდა. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ყველა სეგმენტმა ეფექტურად იმუშავა და ერთობლიობაში უზრუნველყო დადებით შედეგების მიღწევა, კერძოდ, „ბიონარკოტიკის“ მოხმარების გამოვლენის 90%-ზე მეტი კლება. აქვე, განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პოლიტიკის ეფექტურობას აღიარებს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორი.

➤ **უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მონაცემები:**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ე.წ. „ბიონარკოტიკის“) ბრუნვის ფაქტები საკმაოდ დიდ მასშტაბებში კანონის მიღებამდეც ფიქსირდებოდა, მაგრამ ვერ ხორციელდებოდა მათი აღკვეთა საკანონმდებლო ბაზის არქონის გამო. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ სამართალდამცავი უწყებები თითქმის ყოველდღიურად ახორციელებენ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ამოღებას. შედეგად, კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში, 2014 წლის 1 მაისიდან - 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის ფაქტზე 229 სისხლის სამართლის საქმე იქნა აღძრული და 241 პირი იქნა ბრალდებული.

სამართალდამცველი სტრუქტურების წინაშე მდგარი ამ გამოწვევის ეფექტურად დასაძლევად, 2015 წლის დასაწყისში, სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გატარებული სტრუქტურული რეფორმის შედეგად, დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამმართველოში შეიქმნა ფსიქოაქტიური ნივთიერებების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო და მასში შემავალი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება, რომელიც აქტიურად ატარებს ღონისძიებებს ქვეყანაში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოვლენის, აღკვეთისა და პრევენციის მიზნით.

ამასთან, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1¹ ნაწილით¹ გათვალისწინებული დანაშაულისთვის სასჯელის ზომად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ვადით 5 წლამდე, ანუ მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ნიშანდობლივია, რომ ბრალდების მხარე უმეტეს შემთხვევებში აღმკვეთი ღონისძიების სახით ითხოვს გირაოს და ამრიგად, არ ხდება პატიმრობის შეფარდება.

წარმოდგენილი რიცხვები და სამართალდამცველთა მიერ გაწეული სამუშაო უდაოდ მოწმობს მათი მხრიდან აქტიურ საქმიანობაზე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის აღკვეთის მიმართულებით, კანონისმიერი მიზნებიდან გამომდინარე და შსს კომპეტენციის გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მიწოდების შემცირების სფეროში ინტერვენციის ეფექტურობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, 2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 1 მაისამდე, შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ გაცემულ იქნა 234 დასკვნა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოკვლევასთან დაკავშირებით; გამოკვლევულ იქნა 263 ობიექტი, ამათგან უმეტესობა მიეკუთვნებოდა კანაბინომიმეტურად მოქმედ ნაერთთა კლასს. კერძოდ:

ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა	I ნაერთთა კლასს (კანაბინომიმეტურად მოქმედი ნაერთები) მიეკუთვნებოდა - 209 ობიექტი;
	II ნაერთთა კლასს (ფენეთილამინის (Phenethylamin) ნაერთები) მიეკუთვნებოდა - 33 ობიექტი;
	III ნაერთთა კლასს (ამინო-ფენილ-ეთანონის (Amino-Phenyl-Ethanon) ნაერთები) მიეკუთვნებოდა - 10 ობიექტი;
	VI ნაერთთა კლასს


¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 260.1¹:
„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, -
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.“

(ტრიპტამინის (Tryptamin) ნაერთები)
 მიეკუთვნებოდა - 3 ობიექტი;


VIII ნაერთთა კლასს
 (არილციკლოჰექსილამინის (Arylcyclohexylamin)
 ნაერთები) მიეკუთვნებოდა - 1 ობიექტი;

სხვა დანარჩენ ნაერთთა კლასებს - 7 ობიექტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 1 მაისამდე) გამოკვლეული ობიექტების საერთო წონა შეადგენს: 7 კგ. 870.1077763 გრ.-ს. ამ მხრივ, მოწოდების შემცირების მიმართულებით სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის წარმოსაჩენად, იხ. კვების დინამიკა:



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კანონის ძალაში შესვლიდან ერთწლიან პერიოდში, 2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 1 მაისამდე, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების საზღვარზე შემოტანის სულ 5 შემთხვევაა დაფიქსირებული, მაშინ როდესაც 2013-2014 წლის ანალოგიურ პერიოდში აღრიცხულ იქნა 53 შემთხვევა. ამრიგად, 2013-2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სახეზეა 90%-იანი კლება.



აღნიშნულ სტატისტიკაზე დაყრდნობით, შესამჩნევი კლების ტენდენცია ფიქსირდება საბაჟო სამსახურის საქმიანობის კუთხითაც, რაც მეტყველებს სახელმწიფოს მიერ გატარებული ნარკოპოლიტიკის ეფექტურობაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აქტიურად ხორციელდება საერთაშორისო ქსელში ჩართული ინფორმაციის გაცვლა ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე. შედეგად, ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო საბჭოს (International Narcotics Control Board) საერთაშორისო ინიციატივის ფარგლებში, სამინისტრო სისტემატურად იღებს სპეციალურ გაფრთხილებებს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ, რომელიც გაეროს სიებში არ არის შეტანილი და რომელიც სხვა ქვეყნების რეგულირების ჩარჩოში ექცევა. ამ მხრივ, „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 1 მაისამდე) INCB საერთაშორისო ინიციატივის ფარგლებში, ჯამში მიღებულ იქნა 11 სპეციალური გაფრთხილება სხვადასხვა

ქვეყნიდან (2014 წლის 30 მაისი, No. 1/2014; 2014 წლის 25 ივნისი, No. 2/2014; 2014 წლის 7 ივლისი, No. 3/2014; 2014 წლის 24 ივლისი, No. 4/2014; 2014 წლის 12 სექტემბერი, No. 5/2014; 2015 წლის 20 იანვარი, No. 1/2015; 2015 წლის 26 იანვარი, No. 2/2015; 2015 წლის 9 თებერვალი, No. 3/2015; 2015 წლის 30 მარტი, No. 4/2015; 2015 წლის 7 აპრილი, No. 5/2015; 2015 წლის 27 მაისი, No. 6/2015). აღნიშნული ინფორმაცია გაზიარებულ იქნა სახელმწიფო კომისიის საქმიანობაში ჩართულ უწყებებს შორის; მოხდა მისი გადამოწმება საქართველოს კანონით დასჯად ნივთიერებებთან მიმართებით. ასეთი ინფორმაციის დანიშნულებაა, მოხდეს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების წინმსწრებად კრიმინალიზაცია, საქართველოს ბაზარზე მათ გამოჩენამდე და კანონში განხორციელდეს საჭირო ცვლილებები. ამ ფონზე, შეიძლება ითქვას, საქართველო ეფექტურად იყენებს ადრეული გაფრთხილების სისტემას და დროულად რეაგირებს ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან მიმართებით მსოფლიო ბაზარზე არსებულ გამოწვევებზე.

4. სახელმწიფო კომისიის შეხვედრებზე დაფიქსირებული ძირითადი მიმართულებები:

➤ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო კომისიამ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და წარუდგინა საქართველოს მთავრობას, შემდგომი რეაგირების მიზნით.

1. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს შესწორებებისა და დამატებების შეტანას საქართველოს კანონში „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“. ამ ცვლილების ინიცირების საჭიროება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: პრაქტიკაში გამოვლინდა ახალი ნივთიერებები, რაც ახალი კანონით არ არის დასჯადი. ამასთან, გაეროსა და კაიმანის ბაზებზე დაყრდნობით, სახელმწიფო კომისიის ფორმატში დაისვა საკითხი, „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართში, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ქიმიურ ნაერთთა კლასების სიას დაემატოს გარკვეული ქიმიური სტრუქტურები და ტერმინები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში გამოვლინდა კრიმინალური დაჯგუფებების მიერ, პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებისა და უკანონო ბრუნვის გაზრდის მიზნით, ე.წ. „ბირთვების“ შეცვლის შემთხვევებიც, ამიტომ დღის წესრიგში დადგა კანონში ანალოგის ტერმინის შეტანა და მისი

განმარტება. აქვე ნიშანდობლივია, რომ ანალოგის ტერმინის განმარტებისას გათვალისწინებულ იქნა INCB საერთაშორისო ინიციატივის ფარგლებში მიღებული სპეციალური გაფრთხილებების გამოცდილება.

2. საკანონმდებლო ცვლილების პაკეტი შეიცავს ცვლილების პროექტს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლში. კერძოდ, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალების ან/და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების გამოვლენის შემთხვევაში შემდგომ რეაგირებას ახდენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. იმ ნივთიერებებზე, რომლებიც არ განეკუთვნებიან ზემოთ აღნიშნულ ნივთიერებებს, განისაზღვრა სპეციალური პრევენციული შეჩერების ღონისძიება იმისათვის, რათა აღნიშნული არ მოხვდეს ბრუნვაში და არ დაემუქროს საფრთხე მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მანამ, სანამ სახელმწიფო ამ ნივთიერებებს არ მოაქცევს უკანონო ბრუნვის ჩარჩოებში.

3. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შეიცავს, ასევე, „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალების ან/და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესაძლო გამოვლენის ან საქონლის შეჩერების შემთხვევაში შემდგომი რეაგირების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტს. აღნიშნულ შემთხვევებში პროექტში გაწერილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციები და სათანადო პროცედურული საკითხები, და პროექტი აზუსტებს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლში განსახორციელებელ ცვლილებებს.

4. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, აგრეთვე, ითვალისწინებს ცვლილებებისა და დამატებების შეტანას „უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შენახვისა და განადგურების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 6 მარტის №295 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების მე-9 მუხლში განსახორციელებელი დამატების პროექტი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, მათი ანალოგის და პროკურსორის განადგურების საფუძველს, მოსამართლის განჩინების გარდა, წარმოადგენს პროკურორის დადგენილება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, როდესაც საქმეში ბრალდებული არ არსებობს.

ბრალდებულის არარსებობის შემთხვევებში, მოქმედი კანონმდებლობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი ამ ნივთიერებების განადგურებისა. აღნიშნული ცვლილების პროექტი ავსებს ამ ხარვეზს.

➤ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების იდენტიფიცირების საკითხი

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების იდენტიფიცირება რთულია, მით უმეტეს, ხშირად იცვლება მათი სახელწოდებები, რომელიც შეფუთვაზე ფიქსირდება. ამ ფონზე, „ბიონარკოტიკის“ გამოვლენაში ჩართული უწყებებისთვის განსაკუთრებით გადაამწყვეტია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების სახელწოდებების შესახებ ინფორმაციის ქონა და ამ ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაზიარება. შესაბამისად, შეიქმნა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მონაცემების ბაზა, რომელზე წვდომაც ექნება შესაბამის უწყებებს (საქართველოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების უფლებამოსილ წარმომადგენლებს).

➤ ნარკოტიკების განადგურების საკითხი

ნარკოტიკების განადგურების შესახებ მასმედიაში გაშუქებულ ნარკომომხმარებლების მიერ ე.წ. ნამწვავი მომწამლავი ნარჩენების (ცნობილი, როგორც „მიწა“) მიწიდან ამოღების საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო კომისიის შეხვედრებზე ცალსახად დაფიქსირდა, რომ უკვე ფუნქციონირებს სპეციალური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სათანადო მოწყობილობით აღჭურვილი შენობა, სადაც წარმოებს ნარკოტიკების განადგურება. განადგურების შედეგად აღარ რჩება მავნე ნარჩენები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შენობა აღჭურვილია სათანადო ფილტრებით და, ამგვარად, უსაფრთხოა გარემოსთვის. ამდენად, მსგავს პრობლემას ადგილი აღარ ექნება მომავალში.

➤ არასამთავრობო სექტორის ჩართულობა

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ერთობლივი ბრძანების თანახმად, სახელმწიფო კომისიის შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროებიდან გამომდინარე, კომისიის თავმჯდომარის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი სპეციალისტები. ამ მხრივ, საგულისხმოა სახელმწიფო კომისიის საქმიანობაში არასამთავრობო სექტორის ჩართულობა. კერძოდ, სახელმწიფო კომისიის შეხვედრებში არაერთგზის მიიღო მონაწილეობა

ზურაბ სიხარულიძემ - ნარკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, „ურანტი“-ს ხელმძღვანელი.

ზურაბ სიხარულიძემ კომისიის წევრებს გააცნო მის ხელთ არსებული ინფორმაცია საქართველოში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ბიონარკოტიკებთან“ დაკავშირებით კლინიკებში მომართვიანობა რეალურად შემცირდა. „ბიოების“ და „სპაისების“ მოხმარების მასიური ხასიათი ნამდვილად აღარ არის სახეზე და ასევე, არ ჩნდება ახალი ნივთიერებები. აღნიშნულის ფონზე, კონტროლისა და სადამსჯელო ღონისძიებებთან ერთად, ზურაბ სიხარულიძემ განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა სწორად წარმართული საინფორმაციო კამპანია, რომელმაც თავისი შედეგი გამოიღო. ადამიანებმა მიიღეს სწორი ინფორმაცია ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით, რამაც შეამცირა ამ ნივთიერებების მომხმარებელთა რაოდენობა. ზურაბ სიხარულიძის შეფასებით, ის პოლიტიკა, რომელსაც დღესდღეობით სახელმწიფო ატარებს, სწორი აღმოჩნდა. (ზურაბ სიხარულიძის განცხადებები ხელმისაწვდომია ნარკოპოლიტიკის ვებ-გვერდზე, სახელმწიფო კომისიის შეხვედრების გრაფაში²).

➤ ნარკოპოლიტიკის ახალი ვებ-გვერდი

სახელმწიფო კომისიის საქმიანობის ფარგლებში მოეწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ საიტზე (police.ge) შექმნილი ნარკოპოლიტიკის ახალი ვებ-გვერდის პრეზენტაცია, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სახელმწიფოს დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის შესახებ, ქვეყნის წინაშე არსებული უმთავრესი გამოწვევებისა და მათზე რეაგირების ეფექტური ზომების მითითებით, რაც წარმატებით განხორციელდა და აისახა შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებში, მათ შორის: „კრაკადილის“ მოხმარების გამოვლენის 99%-იანი კლება; ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამოვლენის 90%-იანი კლება; კლასიკური ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების კუთხით, 2014 წლის ივლისში შსს-ს მიერ 2.8 ტონა თხევადი ჰეროინის ამოღება. ამასთან, საიტზე ხელმისაწვდომია 2014 წლის ანგარიში საქართველოში ნარკოვითარების შესახებ. ანგარიში ფარავს 2014 წელს შსს კომპეტენციის ფორმატში ნარკოვითარების კუთხით განხორციელებულ აქტივობებს (შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად), მათ შორის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიმართულებითაც.

² იხ.: <http://police.ge/ge/shss-shi-gaimarta-akhali-fsiqoaqtiuri-nivtierebebis-gavrtselebis-aghkvetsi-khelshetskobis-sakhelmtsifo-komisiis-mekhute-shekhvedra/7233>; <http://police.ge/ge/shss-shi-/8082>.

აღნიშნულის გარდა, ნარკოპოლიტიკის ახალ გვერდზე სათანადო ყურადღება ეთმობა ანტინარკოტიკულ კამპანიას, რომელიც შსს-მ 2014 წლის 24 მარტს წამოიწყო და ამასთან, საიტზე განთავსებულია სამინისტროს მიერ კამპანიის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზე გადამისამართების შესაბამისი ბმულები, მათ შორის, სოციალური მედიის ვებ-გვერდზე: „არა ბიონარკოტიკს - ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“, სადაც ხელმისაწვდომია თემისადმი მიძღვნილი ღონისძიებების აუდიო-ვიდეო მასალა, შესაბამისი ტელესიუჟეტები, რადიოგადაცემები, ტელეგადაცემები. ამასთან, ნარკოპოლიტიკის საიტზე ცალკე გრაფა ეთმობა ნარკოვითარების მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ფარავს როგორც რელევანტურ შიდა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, აგრეთვე, საერთაშორისო ხელშეკრულებს (და მათ ავტორიტეტულ კომენტარებს), რომლის წევრიც არის საქართველო.

ნარკოპოლიტიკის საიტზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის საქმიანობას. კერძოდ, საიტზე განთავსებულია ინფორმაცია სახელმწიფო კომისიის სტრუქტურის, ფუნქციებისა და საქმიანობის წესის შესახებ; აგრეთვე, კომისიის შეხვედრების შესახებ, რომელიც 2014 წლის ივნისიდან მოყოლებული ყოველთვიურად, სისტემატურ რეჟიმში ტარდება. ამასთან, სახელმწიფო კომისიის გრაფის ფორმატში ყოველკვარტალურად და ყოველწლიურად ქვეყნდება ანგარიშები საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაზე, რაც კიდევ უფრო უზრუნველყოფს კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობასა და საჯაროობას, და დადებითად წარმოაჩენს სახელმწიფო კომისიის ანგარიშვალდებულებას საზოგადოებისადმი. აღსანიშნავია, ასევე, რომ სახელმწიფო კომისიის გრაფის ფარგლებში ფუნქციონირებს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მონაცემთა ბაზაზე ონლაინ დაშვების სისტემა, რაც ხელს შეუწყობს „ბიონარკოტიკის“ უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას და ამ მხრივ შსს-სა და ფინანსთა სამინისტროების, როგორც რელევანტური უწყებების, კოორდინირებულ მუშაობას.

გარდა ზემოთქმულისა, ნარკოპოლიტიკის ახალ ვებ-გვერდზე, აგრეთვე, მოცემულია ინფორმაცია სამართალდამცავი კუთხით შსს-ს მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედებების შესახებ; კერძოდ, სამართალდამცავების გრაფაში განთავსებულია გადამისამართების ბმულები შსს-ს წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ამოღებების, ნარკოტიკების განადგურების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა რელევანტური ქმედებების შესახებ. ათვლის წერტილად, პირობითად, აღებულ იქნა 2014 წლის 1 მაისი, თუმცა აქვე უნდა განიმარტოს, რომ აღნიშნული სამართალდამცავთა ქმედებები არ არის დაკავშირებული მხოლოდ და მხოლოდ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან. აგრეთვე, ნარკოპოლიტიკის ვებ-

გვერდზე სიახლეების გრაფაში მოცემულია ინფორმაცია ნარკოტიკების თემატიკაზე შსს-ს წარმომადგენელთა მხრიდან ტრენინგებში, საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის, რელევანტურ პროექტებში ჩართულობის და სხვა მსგავსი ღონისძიებების შესახებ. ამ შემთხვევაშიც, ათვლის წერტილად, პირობითად, აღებულ იქნა 2014 წლის 1 მაისი, თუმცა დასახელებული ქმედებები აქაც არ არის დაკავშირებული მხოლოდ და მხოლოდ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან. და ბოლოს, ნარკოპოლიტიკის ახალი ვებ-გვერდის ბმულების გრაფა მკითხველს აძლევს შესაძლებლობას, გადავიდეს რელევანტური შიდა (მაგ., საქართველოს იუსტიციის სამინისტრო) თუ საერთაშორისო (მაგ., ნარკოტიკებისა და ნარკომანიის ევროპული მონიტორინგის ცენტრი) ორგანიზაციებისა და უწყებების საიტებზე, რომელთა საქმიანობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ფარავს ნარკოტიკების თემატიკას, მათ შორის სამართალდამცავ სფეროში (მაგ., ინტერპოლი).

განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ნარკოპოლიტიკის ახალი ვებ-გვერდი და მასზე განთავსებული ინფორმაცია, სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, რაც კიდევ უფრო უზრუნველყოფს სახელმწიფოს საქმიანობის გამჭვირვალობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის კუთხით.

➤ ნარკოტიკების მავნე ზეგავლენის შესახებ ახალი საინფორმაციო კამპანია

ნარკოპოლიტიკის ვებ-გვერდს დაემატა ახალი გრაფა - ინფორმაცია ნარკოტიკების შესახებ. ინფორმაციის დამუშავებაში, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ჩართულნი იყვნენ არასამთავრობო სექტორის („ურანტი“, „ბემონი“) წარმომადგენლები. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავს მოსახლეობისთვის, მისთვის გასაგებ ენაზე, ინფორმაციის მიწოდებას ნარკოტიკების მოხმარების უარყოფითი შედეგების შესახებ; აღნიშნული დარგის ტერმინოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი განმარტებების მითითებით; აღნიშნულ პროცესში მშობლების, სკოლის და სხვა სოციალური ფაქტორების როლის გთვალისწინებით და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ჩათვლით; ასევე, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას საქართველოში გავრცელებული ცალკეული ნივთიერებების ავადმომხმარების შედეგების შესახებ.

➤ საერთაშორისო თანამშრომლობა

2015 წლის 16-17 აპრილს ქ. თბილისში გაიმართა ნარკოტიკებისა და ნარკომანიის ევროპის მონიტორინგის ცენტრის მიერ ორგანიზებული რეგიონალური ღონისძიება

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მონიტორინგისა და კონტროლის შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდა შსს-ს 8 წარმომადგენელი - საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს, შსს აკადემიის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის შესაბამისი დანაყოფებიდან. ღონისძიება მიზნად ისახავდა გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების რეგულირების კუთხით. ამ მხრივ, ღონისძიების ფარგლებში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის მდივნის, ქალბატონი სოფიო კილაძის მიერ პრეზენტირებულ იქნა სახელმწიფო კომისიის საქმიანობა და სახელმწიფო პოლიტიკა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების რეგულირების კუთხით, მათ შორის დაფიქსირდა „ბიონარკოტიკის“ მოხმარების 90%-იანი კლება. ღონისძიების მეორე დღეს განხორციელდა ვიზიტი შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ღონისძიების მონაწილეებმა (ევროპის მონიტორინგის ცენტრის, ევროპოლის, ევროკავშირის და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წევრი ქვეყნების ექსპერტები და სპეციალისტები აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, ისრაელიდან, მოლდოვადან, უკრაინიდან, ხორვატიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან და საქართველოდან) დაათვალიერეს ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორია, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერებების, მათ შორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ექსპერტიზა ხორციელდება. ევროპის მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენლებისა და ექსპერტების მხრიდან ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორია შეფასდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ევროპულ ქვეყნებს შორის. (აღნიშნული შეფასებები ხელმისაწვდომია ნარკოპოლიტიკის ვებ-გვერდზე, სიახლეების გრაფაში³).

2015 წლის 29 აპრილს ქ. ბრიუსელში, ბელგიაში ჩატარდა ნარკოტიკების თაობაზე ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დიალოგის ფარგლებში მორიგი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის მდივანი. შეხვედრაზე დაფიქსირდა საქართველოს მიერ მიღწეული დადებითი შედეგები დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის განხორციელების მიმართულებით. შეხვედრის ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან გამოითქვა სურვილი ქართული გამოცდილების გაზიარების და საქართველოსთან ამ კუთხით თანამშრომლობის თაობაზე.

³ იხ: <http://police.ge/ge/shss-s-saeqsperto-kriminalistikur-mtavar-sammartvelos-evropis-monitoringis-tsentr-is-evropolis-evrokavshiris-da-evropis-samezoblo-politikis-tsevri-qveknebis-tsarmomadgenlebi-etsvivnen/8013#!prettyPhoto>.

2015 წლის 27–28 მაისს ქ. კიევში, უკრაინაში, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ეგიდით, ჩატარდა რეგიონალური დიალოგის ნარკოპოლიტიკისა და აივ ინფექციაზე მათი ზეგავლენის თემაზე. შეხვედრაზე მიზნად ისახავდა ნარკოტიკებზე გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოსამზადებელი დისკუსიის გამართვას. შეხვედრას ესწრებოდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის მდივანი.